

## ჰაინც ფენრიხი – 75

### სიყვარული გზად და ხილად

კავკასიოლოგთა სკოლა ყოველთვის იყო, არის და იქნება გამორჩეული მთელს მსოფლიოში; მათ შორის ყველაზე მეტად გერმანულ ლინგვისტთა ვარსკვლავი ბრწყინავს. მართო გერჰარდტ დეეტერსისა და კარლ ჰორსტ შმიდტის დასახელება რად ღირს?!

მაგრამ ახლა მხოლოდ ბატონი ჰაინც ფენრიხის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რადგან ამჯერად მისი სამოცდამეთხუთმეტე დაბადებულა აღვნიშნეთ 10 იანვარს გერმანელებმა და ქართველებმა ერთნაირი სიყვარულითა და მოკრძალებით.

რა დრო გასულა?! რამდენი რამის გახსენება შეიძლება!

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თითქმის ტოლები ვართ და ნახევარ-საუკუნოვანი ფაქიზი მეგობრობა გვაკავშირებს როგორც კოლეგებს, არასდროს მიგვიმართავს ერთმანეთისთვის „ბატონო-ქალბატონო“ გარეშე.

გასაოცარი ის იყო, რომ როცა ბატონო ჰაინცი პირველად ჩამოვიდა თბილისში (1966 წ.) მან არათუ ბრწყინვალედ იცოდა ქართული



ენა, არამედ სტუდენტობის წლებშივე უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული ძალზე სერიოზული ნაშრომები („არაბულიდან ნასესხები სიტყვები ქართულში“, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1964 წ.; „ქცევის – ი – ნიშნის ფუნქციები ქართულ ზმნაში“, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის შრომები, იენა, 1965 წ.). ასე გახდა საქვეყნოდ სახელგანთქმული პროფესორის, გერტრუდ პეჩის საუკეთესო სტუდენტი აკადემიკოს აკაკი შანიძის ასპირანტი.

ბატონი ჰაინცი მხოლოდ მეცნიერული საქმიანობით როდი იყო დაკავებული! ის ჩვენი დიდებული

ლიტერატურული ძეგლების თარგმნასაც ეწეოდა. ამასთანავე, ქართველი ხალხისადმი საოცარი სიყვარულით აღსავსემ თავდაუზოგავად შემოიარა თავისი ფეხით სვანეთიც, ხევსურეთიც და აჭარა-აფხაზეთიც. აღფრთოვანდა დიდებული უშბა-თეთნულდით, მყინვარწყვერით, შატილით, ნიკორწმინდით, ვარძიით, ანანურით, გელათით, ყინწვისითა თუ სვეტიცხოვლით... რახი და ჟიპიტაურიც გასინჯა... კუბდარი, ჭიშღვარი, ხაჭაპური, ხინკალი, მწვადი და საცივი ქართველივით შეიყვარა... გაცელებული იყო ჩვენი ქართველიანი ისტორიით, უამთა სიავეს საოცრად გადარჩენილი ციხე-კოშკებით, დედა-სამშობლოს ყოველი გოჯი მიწისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლი ხალხით – ამდენ ჭირ-ვარამს როგორ გაუძელითო.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი მეცნიერები მხოლოდ ერთ დისერტაციას იცავდნენ, მან ქართველებივით ორჯერ წარმოადგინა ნაშრომი – საკანდიდატოც („მანქანური თარგმანის ენათმეცნიერული პრობლემები ქართულიდან გერმანულად“) და სადოქტოროც („ენათა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტიერიუმი და ადრინდელი საერთოქართველური ფედეების ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგი საკითხი“); პირველი მათგანი შედგა იენის უნივერსიტეტის, ხოლო მეორე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოების სხდომებზე, თანაც ისე, რომ ამ ორ ლინგვისტურ პაექრობას შორის მხოლოდ ორი წლის ინტერვალი იყო (დრო ჰაინცისთვის ოქროდ ფასობდა). ორსავე შემთხვევაში ბრწყინვალე დაცვა გაიმართა და ამიტომაც დისერტანტს ერთხმად მიენიჭა საძიებელი ხარისხები. აღსანიშნავია, რომ ჰაინც ფენრიხი პირველი გერმანელი მეცნიერია, ვინც ქართულად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ჩვენს უნივერსიტეტში! გასაოცარია მისი ქართული კალიგრაფიაც!..

ასპირანტობის წლებში ბატონი ჰაინცი ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში ზურაბ სარჯველაძესა და გენადი ბურჭულაძესთან (შემდგომში ცნობილ პროფესორებთან) ერთად. ორივენი ობლები იყვნენ: ზურაბს დედა მაინც ჰყავდა, გენადის კი არც ერთი მშობელი. მახსოვს, ერთ-ერთ წელიწადს სუსხიანი ზამთარი დადგა. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ციოდა, მაინც სამივე ახალგაზრდა ყოველდღე დადიოდა საჯარო ბიბლიოთეკაში – ზურაბი და ჰაინცი თხელი (ბუკლეს) კოსტუმებით, გენადი კი – უკოსტუმოდ. საშობაო არდადეგებზე ჰაინცი სამშობლოში გაემგზავრა და მალე იქიდან გენადი ბურჭულაძეს ძალიან ლამაზი შარვალ-კოსტუმი ჩამოუტანა, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად არც მას ულხინდა მაინცადამაინც. მახსოვს სირცხვილისგან გაწითლებული ქართველი ასპირანტის სიტყვები: „იმ სიშორიდან ქართველოლოგიის საკვლევად ჩამოსული გერმანელი კა-

ცისტვის მე უნდა მიმერთმია ძვირფასი საჩუქარი და მან ეს რა გამიკეთა, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგლო.“

სამაგალითო იყო ზურაბ სარჯველაძის, გენადი ბურჭულაძის და ჰაინც ფენრიხის მეგობრობა!.. ცნობილი ქართველოლოგის პროფესორ ალექსანდრე ონიანის საიუბილეო სხდომის შემდეგ ზურაბი ძალიან ცუდად გახდა (მან მოამზადა ეს იუბილე – თავმჯდომარე გახლდათ); გაირკვა, რომ „ბრმა“ ნაწლავი გაუსკდა უსაშველო გადაღლილობის გამო. მაშინვე შევატყობინეთ ბატონ ჰაინცს, რომელიც მეორე დღესვე ჩამოფრინდა თბილისში და აქ უშოვარი წამლებით სულზე მიუსწრო ნაოპერაციებ მეგობარს...

ეჰ, მაშინ კი გადაურჩა სიკვდილს ზურაბი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მაინც გარდაიცვალა სხვა მიმე ავადმყოფობით. აღარც გენადია ცოცხალი, აღარც ალექსანდრე (რომლის „სვანური ენა“ გერმანულად თარგმნა ბატონმა ჰაინცმა და თავის მიერვე დაარსებულ სერიაში „Kaukasien – Reihe“ ორ ნაწილად დაბეჭდა), აღარც გურამ კარტოზია!.. რა უღმობელია „ორგემაგე“ წუთისოფელი!..

კომპარატივისტი მეცნიერის ბრწყინვალე ნაშრომთაგან აღსანიშნავია მისი ლექსიკოლოგიური მოღვაწეობა, განსაკუთრებით კი 800 გვერდიანი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ ქართულ და გერმანულ ენებზე, „ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი (2000 გვერდზე მეტი) ზურაბ სარჯველაძის თანაავტორობით, აგრეთვე „მეგრულ-გერმანული ლექსიკონი“ (700 გვერდი). ოთარ ქაჯაიას თანაავტორობით. ჩემთვის უთქვამს ზურაბს: „არც ერთი არქიფორმა ჩვენს ლექსიკონში გრძელ ხმოვანს არ შეიცავს, რადგან ჰაინცმა თავი მოიკლა და არაფრით აღმადგენინა შესაბამისი გრაფემა საერთოქართველურ ფეძენის დონეზეო!.. ძალიან კარგი უქნია! დარწმუნებული ვარ, რომ არამხოლოდ სვანურში, არამედ ყველა ენაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხმოვანთა სიგრძე, ის ისტორიულად არ არსებობდა და ყველგან კომბინატორული წარმოშობისა ჩანს (ან ხმოვანთა შეწყობის შედეგია, ან თანხმოვნის დაკარგვის საკომპენსაციოდ წარმოქმნილი მონაცემი).

ზურაბ სარჯველაძის გარდაცვალების შემდეგ ბატონ ჰაინცს არ შეუწყვეტია მუშაობა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ლექსიკის კვლევაზე; ბევრი ახალი, მეტად საინტერესო ეტიმოლოგია დაადგინა და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, წინა მკვლევართა მიერ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის აღდგენილი ძირები საერთოქართველური ფუძენის დონეზე გადაიტანა შესაბამისი სვანური ეკვივალენტის დადასტურების საფუძველზე. ყოველივე ეს კი გერმანულად წარმოადგინა 2007 წელს 873 გვერდის შემცველ ფუნ-

დამენტურ გამოცემაში, რომელიც მან უძღვნა ძვირფასი ქართველი კოლეგის – პროფესორ ზურაბ სარჯველაძის ნათელ ხსოვნას...

მახსენდება თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა შეხვედრაც თავიანთ საპატიო პროფესორთან, სადაც პრორექტორმა სამეცნიერო ნაწილში, ზურაბ სარჯველაძემ ბატონები ჰაინც ფენრიხი და ვინფრიდ ბოედერი ძველ წმინდანებს შეადარა თავიანთი სამეცნიერო-მოქალაქეობრივი მოღვაწეობისა და კეთილშობილური გარეგნობის გამო.ს

“Kaukasien – Reihe”-ს სერიაში 2003 წელს დაიბეჭდა ჩემი და ჰაინც ფენრიხის სვანური ენის ჩოლურული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ზმნების ძირითად გრამატიკულ დროთა ინდექსი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სვანოლოგიაში, რადგან დღემდე ამ გარდამავალი ქვემოსვანური დიალექტის შესახებ საქართველოშიც კი არაფერია გამოქვეყნებული (მისი შესწავლა მხოლოდ ახლა მიმდინარეობს აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში). ამ წიგნით ასწავლიან დღესაც სვანური გრამატიკული სტრუქტურის გარკვეულ სპეციფიკას იენის უნივერსიტეტის მაგისტრანტებს.

როცა ბატონმა ჰაინცმა “Tscholurswanisch-Deutsches Verbenverzeichnis” კორექტურა გამოგზავნა, აღმოჩნდა, რომ წინასიტყვაობაში მხოლოდ ჩემს შესახებ იყო მსჯელობა, გერმანელი კოლეგა კი ნახსენები არც გახლდათ. საშინლად შევწუხდი – ჩვენ ხომ თანაავტორები ვიყავით! – და მაშინვე მივწერე საყვედური: რატომ იჩაგრებით-მეთქი?! აი, რა მივიღე პასუხად! – „ძვერფასო იზა, ჩემი თანაავტორობით შექმნილ წიგნში უხერხულია აღინიშნოს ჩემი დამსახურების შესახებ ქართველოლოგიის წინაშეო.“ წინასიტყვაობა გერმანულ ენაზე შეიქმნა და, სრულიად ბუნებრივია, რომ ჰაინც ფენრიხისა იყო, ოღონდ ავტორის მიუთითებლად. აღარც ეს მომეწონა, მან კი ტელეფონით დაკავშირებისას გაიცინა და თბილად მითხრა: „რად გინდათ მაინცადამაინც წინასიტყვაობის ავტორის აღნიშვნა?! ნუთუ, ასე ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული?!“

ბატონი ჰაინცი არაჩვეულებრივი მეცნიერი და საუკეთესო პიროვნებაა... სადაც კია, გერმანიასა თუ საქართველოში, ყველგან ფიანდაზივით ეფინება „სიყვარული გზად და ხიდად“, განსაკუთრებით კი თავისი ქართველი კოლეგებისა თუ მაგისტრანტ-დოქტორანტებისგან...

ბატონო ჰაინც, მთელი სულითა და გულით გილოცავთ 75-ე წლის-თავს!..

იხარეთ და იბედნიერეთ მრავალჟამიერ!..

დღეგრძელი და მზეგრძელი ბრძანდებოდეთ, რათა გარკვეული წლების შემდეგ მაღალაკადემიურ დონეზე დავასრულოთ სულ ახლახან დაწყებული სვანურ-გერმანული ლექსიკონი.

ჯგერაგუ ლი ისგუი მაშედ!..

იზა ჩანტლაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
მთავარი თანამშრომელი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

## JUBILEE

The Ilia State University and the Editorial Board of *Kadmos* congratulate distinguished scholars, Professors Mzekala Shanidze and Heinz Fähnrich on their 90<sup>th</sup> and 75<sup>th</sup> birthday anniversaries. The journal publishes jubilee letters from Professors Winfried Boeder, Nino Doborjginidze and Iza Chantladze.